22120109

International Baccalaureate®
Baccalauréat International
Bachillerato Internacional

GEORGIAN A1 – HIGHER LEVEL – PAPER 1
GÉORGIEN A1 – NIVEAU SUPÉRIEUR – ÉPREUVE 1
GEORGIANO A1 – NIVEL SUPERIOR – PRUEBA 1

Thursday 10 May 2012 (morning)
Jeudi 10 mai 2012 (matin)
Jueves 10 de mayo de 2012 (mañana)

2 hours / 2 heures / 2 horas

INSTRUCTIONS TO CANDIDATES

- Do not open this examination paper until instructed to do so.
- Write a commentary on one passage only.
- The maximum mark for this examination paper is *[25 marks]*.

INSTRUCTIONS DESTINÉES AUX CANDIDATS

- N'ouvrez pas cette épreuve avant d'y être autorisé(e).
- Rédigez un commentaire sur un seul des passages.
- Le nombre maximum de points pour cette épreuve d'examen est *[25 points]*.

INSTRUCCIONES PARA LOS ALUMNOS

- No abra esta prueba hasta que se lo autoricen.
- Escriba un comentario sobre un solo fragmento.
- La puntuación máxima para esta prueba de examen es *[25 puntos]*.

© International Baccalaureate Organization 2012

*დაწერეთ **ერთ-ერთი** ტექსტის კომენტარი:*

1.

პარიზში მათხოვარს ოთახი იშვიათად აქვს. მისი ბინა არის კათედრალების – ნოტრ დამის, სანსუპლისის – გალავნები, ღამე სძინავთ სენის ხიდებს ქვეშ. დღისით მათხოვრები აგროვებენ პაპიროსის ნამწვავებს. ქუჩაში დაფანტულ ქაღალდებს, ძონძებს.

ქუჩებში აკრძალულია – მათხოვრობენ ეზოებში. ზოგი ატყუებს ქუჩის აჟანს. დაიჭერს ერთ ძველ გაზეთს „ლა პატრის“, თითქოს გამყიდველია და მხოლოდ საიმედო გამვლელს გაუმჟღავნებს თავის საიდუმლოებას.

საღამოს სენის ნაპირები სავსეა მათხოვრებით. სენა მწვანედ არის ამღვრეული, როგორც აბსენტი. წყლის ზედაპირი ელვარებს ქონით, მაზუთით. თეთრი გედებივით მიჰქრიან პატარა გემები და ნავები. სენის ხიდებქვეშ დიდი ხმაურობაა... უმეტესობა კამათობს ომზე, რევოლუციაზე, ჟორესის მკვლელობაზე. ყველაზე ცნობილი მათ შორის არის გასტონ დელაროშ, რომელსაც მეგობრებმა „ფალიერი“ დაარქვეს: ჰგავს ყოფილ პრეზიდენტს.

როდესაც ის დაინახავს უცხო სტუმარს, ხიდის ქვეშ ჩამოსულს, მივა და ეტყვის:

– თქვენ ალბათ ნორვეგიიდან ჩამოსული ტურისტი ხართ, ან ესპანელი მომღერალი, გაინტერესებთ პარიზი და ჩვენი ცხოვრება. მე გახლავართ გასტონ დელაროშ, კეთილშობილი მათხოვარი, მცხოვრები სენის ნაპირას, დეპუტატ ჟორესის მეგობარი და მისი ამომრჩეველი.

ამის შემდეგ ის დაგიმტკიცებთ, თუ რა ადვილია უეცრად გამათხოვრება. შემდეგ ამაყად იტყვის: ამაღამ სიცივე იქნება, გათენებისას აქ ყოველთვის ძალიან ცივა. მე თქვენი ფული არ მინდა, გაიარეთ აქედან კაფე „პასკალში“ და დაუკვეთეთ ჩემთვის ორი ჭიქა პუნში, ხვალ დილით მივალ და თქვენს სადღეგრძელოს დავლევ.

ფალიერი ყველაზე ბევრს კამათობს. ყოველდღე კითხულობს „ლუმანიტეს“, იცის პოლიტიკა, ეჯავრება როიალისტები და წინააღმდეგია ბერლინის ოკუპაციის. კონკორდიის მოედანზე აღტაცებით უხდის ქუდს ელზასისა და ლორენის ძეგლებს და ზიზღით იხსენიებს ბისმარკს, რომელმაც „რკინის ყუთში ჩაჰკეტა ელზასისა და ლორენის აყვავებული ბაღები“. ის მეთაურობს კავშირს „სენის მათხოვრებისას“ და სასტიკად დევნის ქურდებს მათხოვართ შორის.

ერთ ღამეს მე, ილია ერენბურგი და გიომ აპოლინერი ვეწვიეთ მათხოვრების ბანაკს ალექსანდრე მესამის ხიდის ქვეშ. მაშინ ომი დაწყებული იყო და ბანაკი ნამდვილ პარლამენტს ჰგავდა. იყო კამათი და თავმჯდომარეც იყო. ერთი მათხოვარი, ყოფილი კონსიერჟი ქიმიური ლაბორატორიისა, უხსნიდა დანარჩენებს „მახრჩობელა გაზების მნიშვნელობას“. გაზების გამოგონება ყველას აბრაზებდა, რადგან ის ხელს შეუწყობდა მათხოვრობის გავრცელებას საფრანგეთში. ღამის ორი საათი იყო, კამათი არ თავდებოდა. ყველას შიოდა.

ათი მათხოვარი მე, აპოლინერმა და ერენბურგმა წამოვიყვანეთ კაფე „ალა როტონდაში“ სავახშმოდ. „როტონდა“ ჩვენი მეგობრებით იყო სავსე და მათხოვრების დანახვამ აღტაცება გამოიწვია.

მსხვილი რიბეირა, ესპანელი მხატვარი, ნახევრად ტიტველი იყო, რადგან სიცხე აწუხებდა. მან სათითაოდ გადაჰკოცნა ჩვენი სტუმრები, მივიდა ერთ ცნობილი მხატვრების მეცენატთან, რომელიც დადიოდა „როტონდაში“ და ცდილობდა ხელში ჩაეგდო ზანგის ქალი ჯელიკა, ლამაზი და თევზივით მოქნილი. რიბეირა მოვიდა
45 მეცენატთან, მაგრად დაჰკრა ჯოხი კატელოკზე და უბრძანა ვახშმის გაწყობა. მეცენატს ეტკინა თავი, მაგრამ გაიცინა და ვახშამი გაამართვინა.

მათხოვრები, პოეტები და მხატვრები მეცენატის სტუმრები ვიყავით. დიასახლისებად ავირჩიეთ ჯელიკა და მარევნა, მხატვარი ქალი, პარიზში თბილისიდან ჩამოსული. პირველად რიბეირამ ადღეგრძელა მეცენატი და
50 უკანასკნელის ხარჯზე უბრძანა კაფეს პატრონს ხუთ-ხუთი ფრანკი გადაეცა თითო მათხოვრისათვის. ბრძანება შესრულდა. მეცენატს ეწყინა, მაგრამ ხელზე აკოცა ჯელიკას.

შემდეგ ჯელიკამ თქვა: „ამხანაგებო, ჩვენ გვეწვივნენ „სენის მოქალაქენი“, ასეთი სურათი ჯერ ჩვენს როტონდას არ ახსოვს. ჩვენ შორის დღეს არ
55 არის ის, ვინც გაოცდება ამ სურათით – მისცემს მას უკვდავებას. ჩემი წინადადებაა გაეგზავნოს ავტომობილი პაბლო პიკასოს და ეთხოვოს აქ მოსვლა“. აპოლინერმა ჯელიკას ტუჩებში აკოცა, მაგრამ ავტომობილი ცარიელი დაბრუნდა: წინა დღით პიკასო ფრონტზე წასულიყო.

როდესაც მათხოვარი ემილ ადერი ადგა სიტყვის სათქმელად, მოხუცებული
60 და კეთილი „როტონდის“ გარსონი ლუი მივიდა მასთან, ატირდა და თქვა:

– ბატონო ემილ, ნუთუ ვერ მიცანით, მე ვარ ლუი გარსონი კაფე „რიშიდან“. ბევრი ლუიდორი მახსოვს თქვენგან ნაჩუქარი. დიდი ხანია გავიგე თქვენი დაცემა, გაღარიბება. მე უცოლო ვარ და კარგი ოთახი მაქვს. გადმობრძანდით ჩემთან ბინაზე…

65 – და ახლა კი, ბატონებო, ნება მიბოძეთ, – მოიწმინდა ცრემლები ლუიმ, – ბატონ ემილ ადერის პატივსაცემად მოგართვათ ექვსი ბოთლი ბურგუნდიისა.

ემილ ადერმა სიტყვა ვეღარ თქვა, ენა დაება, ჩაეკრა მოხუცებულ კეთილ ლუის და ორივე წავიდნენ მეორე ოთახში წარსულის დასატირებლად. ამ სურათის დანახვაზე, ახალგაზრდა პოეტმა ალბერტ ჟანმა ლექსი დაწერა და გადასცა
70 ერენბურგს რუსულად სათარგმნელად. როდესაც გათენდა, მე გამოვეთხოვე პარიზელ მეგობრებს და იმ დღესვე წამოვედი საქართველოში.

„როტონდის“ უკანასკნელი ღამე დღემდე არ დამვიწყებია, მახსოვდნენ სენის მათხოვრები.

პაოლო იაშვილი, *„ფერადი ბუშტები“* (1924)

2.

მზე ჩაესვენა: მის შუქი გამოსალმის ჟამს კავკასსა,
თავსა ეხვევა ალერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა.
ბუმბერაზ მთანი მდუმარედ ცათამდის აყუდებულნი,
ჰსხედან, ვით დევნი, სპეტაკის ყინულ-გვირგვინით შემკულნი!
5 მათ კლდოვან გვერდთა შავადა ღრუბელნი ზედ დაჰსწოლიან,
და მრისხანებით ქვეყანას წარღვნითა ემუქრებიან,
გაზაფხულისა ველითა ტყე შემოსილი სიმწვანით,
მთებისა კალთებს შეამკობს სატკბო სუნნელთა მოფენით.
წყალნი მთით დაქანებულნი, ალმასებრ უფსკრულს ჰსცვივიან,
10 თერგი ჰრბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან!
შეწუხებული ვუმზერ გზას და მასზე ეტლსა მიმსრბოლსა,
მიმტაცსა ყოვლის კეთილის, რაცა გვაქვს ამა სოფელსა,
რაცა გვიშვენებს სიცოცხლეს ზეციურისა სხივითა,
და აღგვამაღლებს ამ სოფლით სულისა აღმაფრენითა!
15 მიდიხარ სატრფოვ? მშვიდობით! მარად დღე ჩემი კურთხევა
ცად მიმართ შენთვის მექნება, ვიდრემდის სული მელევა.
არღა აამონ აწ თვალთა გული შენისა ხილვითა,
წარვიდეს ჩემი სიცოცხლე უშენოდ შრომით, ზრუნვითა.
ეტლი ჰრბის, სატრფო მშორდების... თანა ჰსდევს ჩემი მას სული,
20 ვმზერ... შორს ძლივსღა ჰსჩანს... აღარ ჰსჩანს... რაღასა ვუმზერ შმაგ-ქმნილი?
სიშორის ნისლმა მიჰფარა თვალთაგან ეტლი მიმსრბოლი,
და გულით ოხვრა სიმწარის აღმოუტევე უნებლი...
მშვიდობით! ვინცა დამატკბე სიცოცხლის ნეტარებითა,
აწ ვისთვის გული მიკვნესის, სული ჰსწუხს განშორებითა.
25 ვის ხილვა არღა შემმოსავს სიხარულისა ნათლითა,
არ განმასვენებს მწუხარეს ალერსის ხმითა ტკბილითა!
მარამ ამ სოფელს შენს გარდა ვინა მყავს მანუგეშებლად,
რომ შენც განმშორდი, დამტოვე, მწუხარებისა მე მსხვერპლად?
წახველ, წარმტაცე ყოველი საამებელი სულისა,
30 და ვინ განმიღოს აწ კარი ბედისა დაკარგულისა?
ან მე უგუნურს რად მრწამდა ბედისა დაუსრულება?
აწ დავშთი მარტოდ... მშვიდობით! შენს სულს ნუ ჰშორდეს მშვიდობა!
არს მწუხარება სულისა, არ აქვს ნუგეში რომელსა,
ჰსჯობს ენა ჰსდუმდეს, ხმა შესწყდეს, მოთქმით რა ერგოს გულ-წყლულსა?
35 შეღამდა... მარტო ვზი ჭმუნვით; ჩემი ჩივილი ვის ესმის?
დაყრუვდა არე... მხოლოდა ხმა ისმის ზოგჯერ გუშაგის.
მხოლოდ ჰსჩანს, მთანი მდუმარედ აყუდებულან ცათამდის,
და ყაზიბეგსა საამოდ ზედა ვარსკვლავი დაჰნათის!
წყალნი მთით დაქანებულნი, უფსკრულსა იკარგებიან,
40 თერგი ჰრბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან!

გრიგოლ ორბელიანი, *„საღამო გამოსალმებისა“* (1841)